გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი N2

ქ. გარდაბანი

27.03.2026 წ

13:00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **დავით ჭინჭარაული.**

სხდომას ესწებოდნენ კომისიის წვრები:

1. ვუგარ მამედოვი
2. ოთარ გავაშელიშვილი
3. თორნიკე ქავთარაძე
4. შახადატ მეხრალიევი
5. გუსეინკულუ მუსაევი
6. იოსებ ძამნაშვილი
7. საბაილ მამედოვი
8. ილხამ ბაირამოვი
9. არაზ ვალიევი
10. ნიჩატ ისმაილოვი
11. გუსეინკულუ მუსაევი

სხდომას არ ესწრებოდა

1.ზვიადი ქართლოსიშვილი

2. გუსეინკულუ მუსაევი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასამტკიცებლად დააყენა დღის წესრიგი:

დღის წესრიგი

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ორგანოებში სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას ავტომობილების გამოყენებისა და შენახვის ხარჯების მოწესრიგების შესახებ.

განხილულ იქნა

საკითხი 1.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 16 მარტის წერილი №18-182607590, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ორგანოებში სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას ავტომობილების გამოყენებისა და მათი შენახვის ხარჯების მოწესრიგების შესახებ“ .

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ორგანოებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისა და ხარჯების მართვის პოლიტიკის ოპტიმიზაცია. პროექტის მიზანია იმ სამართლებრივი ბაზის გადახედვა, რომელიც პრაქტიკული აპრობაციის პროცესში, მუნიციპალიტეტის სტრუქტურული გამოწვევების გათვალისწინებით, საკმარისი არ არის დასახული მიზნების სრულფასოვნად შესრულებისთვის.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მიზნით მიღებული განკარგულების იმპლემენტაციის ეტაპზე გამოიკვეთა ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვის პროცესების კიდევ უფრო მეტი დეტალიზაციისა და მეთოდოლოგიური დახვეწის საჭიროება. ვინაიდან აღნიშნული განკარგულების საფუძველზე არ წარმოშობილა სამართლებრივი შედეგები, მიზანშეწონილია მისი ძალადაკარგულად გამოცხადება. აღნიშნული გადაწყვეტილება განპირობებულია სურვილით, შემუშავდეს განახლებული რეგულაცია, რომელიც უფრო მოქნილად და ეფექტურად უზრუნველყოფს საწვავის ხარჯვის კონტროლსა და სამსახურებრივი

ავტომობილების გამოყენების გამჭვირვალობას, აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების მაქსიმალურად სრულყოფილი შესრულების მიზნით.

განკარგულების მიღება ზეგავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი დადგენილების პროექტის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა- ,,გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ორგანოებში სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას ავტომობილების გამოყენებისა და მათი შენახვის ხარჯების მოწესრიგების შესახებ“ -პროექტის გატანას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე“.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-11

წინააღმდეგი-0

კომისიის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 2026 წლის 27 მარტის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული საკითხი შემდგომი განხილვის მიზნით, გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს ხსდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: / დავით ჭინჭარაული/

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა
კომისიის სხდომაზე

დ ა მ ს წ რ ე თ ა ს ი ა

2026 წლის 27 მარტი

13[00] სთ.

1. დავით ჭინჭარაული
2. ვუგარ მამედოვი
3. ოთარ გავაშელიშვილი
4. თორნიკე ქავთარაძე
5. შახადატ მეხრალიევი
6. გუსეინკულუ მუსაევი
7. იოსებ ძამნაშვილი
8. ზვიადი ქართლოსიშვილი
9. საბილ მამედოვი
10. ილხამ ბაირამოვი
11. არაზ ვალიევი
12. ნიჩატ ისმაილოვი

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ორგანოებში სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას ავტომობილების გამოყენებისა და მათი შენახვის ხარჯების მოწესრიგების შესახებ.

	სახელი, გვარი	მომხრე	წინააღმდეგი
1	დავით ჭინჭარაული		
2	ვუგარ მამედოვი		
3	შახადატ მეხრალიევი		
4	თორნიკე ქავთარაძე		
5	იოსებ ძამნაშვილი		
6	არაზ ვალიევი		
7	გუსეინკულუ მუსაევი		
8	ნიჩატ ისმაილოვი		
9	ზვიადი ქართლოსიშვილი		
10	ოთარი გავაშელიშვილი		
11	ილხამ ბაირამოვი		
12	საბაილ მამაედოვი		